



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N179

2016 წლის 24 ნოემბერი
ქ.ქობულეთი

ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვის, ქუჩა თბილისის N5 ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (ფ/პ „ოთარი მიქელაძე“-ს კუთვნილ ობიექტზე ს/კ 20.48.01.413) 0.38 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო მიწისზედა სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული ნახაზის შესაბამისად.

2. ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ უზრუნველყოს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ს.ოქროპირიძე



ობიექტი

204801373

1

2

70 მეტრი სავროექტო ეგზ

ს/კ 102-403

204801372

204801374


204801067

204801001

204801373

აერობიო-აღნიშვნები

- ურთიერების ხაზი
- მიწის ნაკვეთის ცენტრი
- რეგისტრაციის საფარი



		ENERGO-PRO GEORGIA		
		დაბა ჩაქვი, თბილისის ქუჩა №5ა-ში მდებარე ოთარი მიქელაძის ობიექტი		
სკეც.	ი. ჯიბლაძე	სტადია	ფურცელი	ფურცლები
		მ.პ.	1	1
		სს ენერგო-პრო ჯორჯია ქ. ბათუმი ბაგრატიონის ქ. №103 2016 წ.		